

myClass ონლაინ გაკვეთილები

წესები და პირობები

განახლებულია 2020 წლის აპრილში

წესები და პირობები

1. კურსებზე დარეგისტრირება

- სარეგისტრაციო ფორმა უნდა იყოს სრულად შევსებული.
- გაკვეთილებზე დასწრება დაშვებულია მხოლოდ რეგისტრაციის პროცესის გავლის დასასურველი myClass გაკვეთილების პაკეტის შეძენის შემდეგ.
- გადახდა შესაძლებელია საბანკო გადარიცხვით ან საკრედიტო ბარათის მეშვეობით ჩვენთან ოფისში. გადახდა ინვოისის წარდგენის შემთხვევაში მოითხოვს ოფიციალურ ავტორიზაციას, რომელიც დამტკიცებული იქნება კომპანიის წარმომადგენლის მიერ რეგისტრაციამდე, დაფინანსებული სტუდენტების სპეციალური ფორმის შევსების საფუძველზე.
- **გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბრიტანეთის საბჭო ვერ მიიღებს თანხას, რომელიც გადმორიცხული იქნება დიდი ბრიტანეთის ან სხვა შესაბამისი იურისდიქციის მიერ სანქცირებული ბანკებიდან.**
- რეგისტრაციის დროს სტუდენტი ირჩევს კურსის დაწყების თარიღს, არაუმეტეს 90 დღისა კურსის დაწყებამდე.

2. სტუდენტის უფლებები: სტუდენტს აქვს უფლება:

- მიიღოს მონაწილეობა კლასებში დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- მიიღოს მონაწილეობა შეფასების პროცესში;
- მიიღოს ინდივიდუალური რჩევა თავის პროგრესზე;
- ჰქონდეს დაცული თავისი პირადი ინფორმაცია ბრიტანეთის საბჭოს პოლიტიკის შესაბამისად.

3. მეცადინეობების ცხრილის დადგენა

- სტუდენტმა უნდა დაადგინოს თავისი მეცადინეობების ცხრილი გაკვეთილებზე დასწრებამდე (ხელმისაწვდომობის მიხედვით), ონლაინ ჯავშნის სისტემისა ან მობილური აპლიკაციის (iOS ან Android) მეშვეობით. გაკვეთილის შერჩევა შეუძლებელი იქნება აღნიშნული გაკვეთილის დაწყების შემდეგ.
- სტუდენტმა, რომელიც დაინტერესებული იქნება გამოცდისთვის მოსამზადებელ გაკვეთილებში, უნდა შეძლოს გაკვეთილების განრიგის დადგენა შესაბამისი კლასების მიხედვით იმისავის, რომ უზრუნველყოს თავისი ადგილი აღნიშნულ გაკვეთილებზე და ასევე მათი სიხშირე გამოცდამდე.
- სტუდენტს შეუძლია გააუქმოს ჯავშანი ონლაინ ჯავშნის სისტემის ან მობილური აპლიკაციის მეშვეობით გაკვეთილის დაწყებამდე მინიმუმ 24 საათით ადრე, შესაბამისი კრედიტის(ების) დაკარგვის გარეშე.
- იმ შემთხვევაში თუ ჯავშანი გაუქმდება გაკვეთილის დაწყებამდე 24 საათზე ნაკლებ დროში, კრედიტი აღარ დაბრუნდება.
- ვირტუალური კლასების შემთხვევაში, კრედიტების საფასურის ანაზღაურება არ იქნება შესაძლებელი, ბრიტანეთის საბჭოს მიღმა ტექნიკური სირთულეების გამოწვევის მიზეზით.
- სტუდენტი პასუხისმგებელია გამოიყენოს ყველა თავისი კრედიტი გაკვეთილების პაკეტის შეძენის ვალიდურობის მიხედვით.
- სტუდენტს შეუძლია კურსის საათების გახანგრძლივება, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ, რაც მისცემს გაკვეთილების ცხრილის შედგენის საშუალებას

თავისი კრედიტების მიხედვით, რომელიც უნდა შეადგინოს შეძენილი გაკვეთილების პაკეტის ვადიანობის პერიოდში.

- myClass გაკვეთილების პაკეტის არჩევისას, სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს ყველა გაცდენა, რომელსაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეძენილი კრედიტებით შედგენილ

ცხრილზე. გამონაკლისის სახით, ჩვენ შეგვიძლია გავახანგრძლივოთ გაკვეთილების პაკეტის ვადიანობა იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება ჯანმრთელობის მდგომარეობას ან პროფესიული, ან აკადემიური მიზეზების გამო, გაკვეთილზე დასწრების შეფერხებას. მსგავსი მოთხოვნები უნდა იქნას წარდგენილი ანალიზისთვის, რომელიც განხორციელდება სასწავლო ცენტრის მიერ და განიხილება ინდივიდუალურად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად უნდა აღწერდეს სტუდენტის ვინაობასა და დროის მონაკვეთს, რომელიც გაცდენილ გაკვეთილს(ებს) უკავშირდება. დოკუმენტაცია უნდა იყოს წარდგენილი საპატიო გაკვეთილის(ების) შემდეგ არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა და ყოველთვის უნდა მოიცავდეს გაკვეთილების პაკეტის ვადიანობის პერიოდს. მიკუთვნებული გახანგრძლივების გამოყენება არ უნდა სცდებოდეს იმ თვეების რაოდენობას, რომელიც გათვალისწინებული იყო გაკვეთილების პაკეტის ყიდვისას.

4. სტუდენტების ვალდებულებები და მოვალეობები

- სტუდენტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილზე, პატივი სცენ თავის მასწავლებლებს და თანაკლასელებს.
- სტუდენტებმა უნდა უზრუნველყონ გაკვეთილის მიმდინარეობისას თავისი მობილურის ხმის გათიშვა ან სრულიად გამორთვა.
- სტუდენტებმა უნდა წარადგინონ თავიანთი სტუდენტური ბარათი ბრიტანეთის საბჭოს ან დაცვის თანამშრომლების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.
- სტუდენტები უნდა მიყვნენ შენობის ევაკუაციის წესებს განგაშის ხმის გაგებისთანავე.
- სტუდენტები, რომლებიც ესწრებიან გამოცდისთვის მოსამზადებელ გაკვეთილებს, უნდა შეიძინონ ადაპტირებული წიგნი და უზრუნველყონ მისი მოტანა გაკვეთილზე.

5. გაკვეთილების განრიგის შეცვლა

- ჩვენი მიზანია ვუზრუნველყოთ კლასების შემოთავაზება სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს ჩვენს ცენტრში. ხელმისაწვდომი კლასების რაოდენობა პროპორციულია სტუდენტების რაოდენობის რიცხვთან თითოეულ დონეზე.
- კლასები, არასაკმარისი სტუდენტების რაოდენობით, სამომავლოდ შეიძლება არ იყოს შეთავაზებული. ახალი საცდელი გაკვეთილების განრიგები შესაძლოა განხილული იქნას, რომლებიც უწყვეტად იქნება დამოკიდებული აღნიშნულ კლასებში დასწრებული სტუდენტების რაოდენობაზე.
- პროგრამა myClass მოიცავს პირისპირ და ვირტუალურ კლასებს.

6. დღესასწაულების პერიოდი

ა) წელიწადის განმავლობაში არის გარკვეული პერიოდები (მაგ., აღდომა, ზაფხული), როდესაც კვირაში იგეგმება ნაკლები გაკვეთილი. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ სტუდენტების ნაკლები რიცხვი ესწრება გაკვეთილებს ამ პერიოდში. კურსის ხანგრძლივობას არ დაემატება აღნიშნულ დროს ჩატარებული გაკვეთილები იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვთავაზობთ წელიწადის ყველაზე მომთხოვნად პერიოდში

ხელმისაწვდომი კლასების ფართო არჩევანს.

ბ) ეროვნული დღესასწაულები: myClass გაკვეთილები არ იქნება დაგეგმილი ეროვნული დღესასწაულების პერიოდში. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, შესაბამისი დღეების რაოდენობა დაემატება ყველა იმ სტუდენტს, ვისი კურსიც იქნება აქტიური აღნიშნულ თარიღებში.